

2. Ходын Г

7.265

МРЮ б) № 655

30468



Эксп. 19016. № 11

7.265

1901
25/1

დიდი ხელნაწერი

საითკენაც კი ფეხს გადავდგამთ ჩვენს დალოცვილს სამ-შობლოში, ყველგან შევხვდებით საოცარს ძეგლებს, ტაძარ-მონასტრებს.

აგერ კვერცხივით მრგვლად აღსრბოლილი გორა :ი, ყოვლის მხრივ მიუდგომელი, უდიდეს კლდეებით გარემოზღუდული. მისს მწვერვალზედ მოჩანს ლამაზი ტაძარი. რამდენი საუკუნეა, მას ებრძვის თოვლი, ნამი, ქარი, ქარტეხილი, მიწის ძრა, გრი-გალი და ხუილი! ის კი დგას თავისოვის, შეუნძრევლად, შე-ურყევლად, მყუდროდ, დიდებულად, ბრწყინვალედ! ბუნებრივი სტიქიონი მას ვერ ეყირება: იგი სახლია ღვთისა და მხოლოდ ღმერთს ესაუბრება იდუმლად! და ამასთანავე გაშტერებულს მგზავრსაც ეუბნება: „მიმზირე, დასტკბი! აღმაგო მკლავმა ძლი-ერმა, მყარს კლდეზედ ვდგევარ სვეტალ თავისუფლებისა, მო-წმალ გმირულად წარვლილ ცხოვრებისა.

აი იქით, კვერნაქზედ ანუ სადმე შვენიერებით მორჭმულს ველობზედ, მოჩანს სხვა ძეგლი, დიდი დიდებული, მაღალი ამაღლებული, შვენი შვენიერი, ჩუქურთმით მოჩუქურთმებუ-ლი, ქანდაკით მოქანდაკებული, ხატით დახატული, ლომფი-ნით გადახურული ანუ რკინის კამარა გადართხმული. დგას დიდშვენიერად, ვით რაიმე გოლიათ ბუმბერაზი. დგას და მაღ-ლით დიდებულად გაღმოპყურებს არემარეს, განშვენებულს ვენახებით, წალკოტებით, მტილოვან ველებით. სახავ-სათესე-ბით, ტყე-მინდვრებით. გაღმოიცქერის და გვეუბნება: „შეილე-

ბო! ყოველივე ესე შეჰქმნეს თქვენმა მამებმა და პაპებმა; ულრანი ტყე გაჩეხეს და სახნავ-სათესად აქციეს, მყარი კლდეები გასჭრეს, გახერიტეს და რუები გამოიყვანეს სათესების სარწყავად; მეც აქ აღმავეს თვისს სიწმიდედ. თვისს ეროვნებისა და სარწმუნოების დასაცვავად. ცხოვრება მარტო ოდენ ბრძოლა იყო და გმირულადაც იბრძოდნენ. დღეს რალა ხართ თქვენ! მიხედვისას, ხელი გაინძრიეთ, ჭკუაც მიიშველეთ, შეუდექით საქმეს, ამოვსილი რუები ამოსწმინდეთ, გაჯანდაკებული მიწები გააფხვიერით, გავერანებული მამულები წესიერად მოაწყეთ, ჩამოქცეული და დაძველებული სახლები შეაკეთეთ, შეილებს წიგნი და ხელობა რაიმე ასწავლეთ, საქონელი უკეთესი მოიშენეთ, ერქვანნი გაიახლეთ და ღმერთიც დაგლოცავთ და გაგიმარჯვებთ, მეც აქ გდგვარ საოხად თქვენდა. იშრომეთ კეთილად, ძმურად, შრომა უტკბილესი მადლია, უქმობა უმწარესი ბიწიერება. ეით მშვილდოსანი უკაპარჭოდ ვერ გაიტყორცნის ისარს, ისრე კაცი უშრომოდ ვერ ეწევა კეთილდღეობას...“

სხვა ადგილას კიდევ მეტყველობს სხვა სიწმინდე; „სიმაგრე და სიმკვიდრე არ მაკლია და ბებერს კი ვგევარ მოუფლეობით; ობობა და ბაბაჭუა ქრელს აბამს ჩემს წმიდა სარკმლებში; ტვერი და ჭუჭყი გადაეკრა ჩემს კედლებს, ხატებს და ეტრატებს. სად ხართ, ნეტარნო მამანო! რატომ ალარ მესმის თქვენი ტკბილი ქართული, თქვენი მჭევრმეაქვი რიტორება, თქვენი მამაშვილური დარიგება, თქვენი კრძალებით აღსრულებული წირვა-ლოცვა! რატომ ველარ ვხედავ აქ, ჩემს კარმიდამოში, გუნდს თქვენის მოწაფეებისას? სად დაძაბუნდით აგრე ბეჩავად! ჰოი, მაგონდებიან ძველნი მამანი! რა რიგ მიყვარდა მე მათი გამჭრიახობა, მათი განუწყვეტელი რუდუნება და საქმიანობა! კეშმარიტად ლიდ იყო ლვაწლი მათი! იგინი ღმერთსაც ემსახურებოდნენ და მრევლსაც უვლიდნენ და ჰპატრონობდნენ სახელოვანად. რა არ იცოდნენ მათი—ყველაფერი, რაც კი საჭიროა კაცურად ცხოვრებისათვის. სწორედ აქ, ამ

ჩემს დანგრეულს სენაკში იღვწოდა ერთი მათგანი და აქ დასწერა მან ეს სიტყვები:

«წყალობითა ღუთისამთა მომეცა თვინიერ მოძღუარისა, კელოენებად ესე ვითარი:

ა: კელი სწავად ხუცობისად:

ბ: კელი მეორე მწიგნობრობისად:

გ: კელი მესამე წერად ხუცურისად:

დ: კელი მეოთხე შექმნად ეტრატისად

ვ: კელი მეხუთე შეკვრად წიგნისად:

გ: კელი მეექვსე მხატვრობისად:

ზ: კელი მეშვიდე მკერვლობისად:

ც: კელი მერვე ტყავის კერვისად:

თ: კელი მეცხრე ხუროვნობისად:

ი: ხელი მეათე ყოვლისავე მსოფლიოსსა მუშაობისად.

შენდობა ყავთ:*)

„ჰო-და, იმ ნეტართ არ იცოდნენ, რა არის დაღალვა, რა არის უქმობა; მდიდრულად არ იმოსებოდნენ იგინი, ხელთათ-მანს მათ ხელზედ ვერ ნახავდით, ეცვათ მარტივად, უძლებო-ბა და ნაყროენება არ იცოდნენ, არამედ იყვნენ და საქმიანობ-დნენ, თვისს მრევლს მწყსიდნენ კვერთხითა მტკიცით». არა გჯერათ? აჭა მაგალითი სამწყსოსთვის თავდადებულის ტყაპუ-კოსან მწყემსისა:**)

„და იყო, რაჯამს მოიწია კელმწიფე, რომელსა ერქუა იამამე, ქალაქად ტფილისად; სარნჯმან იყო წინაშე მისა დიდი: და შეკრბა ერთ მრავალი ქრისტიანეთა და სარკინოზთა. იყო მუნ ბერიცა ვინმე ერთი მონაზონი, რომელი წარჩინე-ბულთაგანი იყო ერისკაცობასა მისსა. მიხედა მას იამამმან და ჰრქეა:

*) იხ. საეკლ. მუხ. ტყავზედ ნაწერი. წიგნი № 557, გვ. 311.

**) წ.-კითხვ. საწიგნეს № 1463.

— იცია, რამ მეგულების შენდა ყოფაზ დღეს? — მიუგო
მან და ჰრეკუა:

— ვინამ შემძლებელ ვარ მე, ცნობად, რამ გეგულების
შენ ყოფად! იამამთან ჰრეკუა:

— მეგულების, რათა შეურაცხებისაგან მოგიყვანო დიდე-
ბად და, უნდოხსა მაგის წილ და მატყლისა სამოსლისა, შეგ-
მოსო სამოსელი შარავანდედთად! ...“

ამ ბერმა, რომელიც ერისკაცობაშიაც თურმე წარჩინებუ-
ლი ყოფილიყო, დიდის მფლობელის წინაშეც არ გაიხადა
თვისი ტყაპუჭი და გმირულადაც დაიცვა თვისი სამწყსო და
სარწმუნოება. იგი დარწმუნებული იყო, — და მისს რწმენას
ესამართლებოლმცა, — რომ არა ტანისამოსი და ოქრო ამშვე-
ნებს კაცს, არამედ ნაკისრ მოგალეობის მოწიწებითა და კრძალ-
ვით ალსრულება...

და მოგონებანი ესე ალგვიძრა ჩვენ წიგნმან ბუმბერაზ-
მან, რომელი ეკუთვნის საეკლესიო მუზეუმს, და აღნიშ-
ნულია № 186-ით და შეიცავს 1161 ფურცელს (in fol., გვ.
2322).

სად არის ეს წიგნი გადაწერილი, რა დროს, ვისგან და
ვისთვის?

ამ კითხვების პასუხს ეპოვებთ თვით სელნაწერის 1-ლს
კაბადონზე. იქ სწერია ლექსაცია:

მე ესე წიგნი შევამკვე გიორგი მალაქიამან,
უფლის წულ, ციხის თავმან და გვარად აბაშიძემან,
სვერ-შორაპნის მქონემან თავსახლად ჭალატს (?) ყანამან
და დროშის ნაპირის პატრონმან, მორკვმით, სომდიდრით მე ამან.

მას უამად მეფე მესიძა, შვილი მივეცი თამარი;
მას გავატანე ბევრი რამ, უცხო მურასა ქამარი;
იმერეთს, ოდიშს, გურიას, აფხაზეთს ვიყავ თამამი
და ვად რა ცუდად ვისაჯე, კაცხს გამითხარეს სამარი.

იერუსალიმს აბრაჰამის ტაძრისა ამაგებელმან,
პატრიარქისა მრავალჯერ გამგზავნმა და მარგებელმან,
ამ სამის საბატონოში სიმართლით განმაგებელმან
და მტერისაგან შემოუვალმან, დამცველმან, გამმაგებელმან.

წმიდავ დავით გარეჯელო, ეს წიგნი შენ შემოგწირე,
ამისთვის რომ სიმღიდრეში სული ცოდვით შევიმცირე;
მეოს შეყავ ღმრთის წინაშე, ვითა მწვლილი შეიწირე,
და აღმიხოცენ ბრალნი ჩემნი, განმიბანე ცოდვის მწვირე,

ოცდა ხუთი ლიტრა ცვილი ერთ კერასად გულად ვიღენ,
ამა წიგნთას მოკიძლვენი, გამოგზანით მანდ მოვიხვენ;
სხვამაც ასე შემოგწირონ, ცუდი არის, ნუ ინახვენ,
და საყვედრელად ნუ შემრაცხ, ლოცვა ჩემი ყურად იხვენ.

მეფეს, დადიანს, გურიელს — სამსავ ჩემი ჰყვა ასული,
სამგანვე მიჯდენ დედოფლად, ქემით კმაა მქონდა გასული.
ამ სოფელს არა მაკლდა-რა, ცამდის არ ვიყავ ასული,
და ბოლოდ მიწად მოვიქეც, სოფლიდან ვიქმენ გასული.

1622 წელს შაჟაბაზ 1-ლის ლაშქარმა ამოსწყვიტა გარეს-
ჯის ბერები და თვით დიდებული ლავრაც გააოხრა. მას შემდეგ
გავიდა კარგა ხანი და ეს უდაბნო ვერანად დაშთა. გარენჯის
ალდგენას ხელი მოსჭიდეს 1690 წელს, თუმცალა ამას წინა-
დაც ამ საქმისათვის ზრუნავდა არჩილი, შეფე კახეთისა. ამ საგ-
ნის შესახებ საეკლესიო მუზეუმის ერთს ხიგელში (№ 349) სწე-
რია:

ქ. ჩვენ, მღუთისა მიერ კურთხეულმა, ქართლისა, კახე-
თისა მაკურთხეველმან კათალიკოზმან იოვანეზ *), ამბა ალა-
ვერდელმან ნიკოლოზ, ნინოწმინდელ ეფისკოპოსმან არსენ,
და სრულ ერთობალთ მიტრიპოლიტ - ეფისკოპოსთა გავა-
რიგეთ უდაბნო დავით გარესჯისა: ასე რომ ქამთა ვითარე-

*) იოანე დიასამიძე (1688—1700*.)

ბისაგან მოოკურებულიყო და შენობა აღარ იყო; ბრძანებითა მღვისათა. ქართველთა მეფისა შაჰინათზისა პირმშომან სასურველმან ძემან კახთ მეფედ დადგინებულმან არჩილ (1664—1675) კვალად შენობა ჩაგდო, მღდელ-მონოზნები და წინამძღვარი დაუდგინა, წლითი წლად გამოსაზრდელი საზრდო განუჩინა; პირველებრ გარიგებას უპირობდა, აღარ დასცალდა. კიდევ შენობა არ მოიშალა. ის წმიდანი მღდელ მონაზონნი კორცოგან განვიდეს.

აწ ჩენ, შეწევნითა უფლისათა და წმ. მამისა ჩვენისა დავით გარესჯელისათა და ბძანებითა ქართველთ მეფეთ მეფის ერეკლესითა (1688—1703), ვიგულსმოღვინეთ, განვაწესეთ, და განვარიგეთ, და დავადგინეთ მამად და ვინც იქ მდევია, მის უფროსად და წინამძღვრად მაჭუტაძე ონთოფრე; ასე რომ ვინც იქ მდევი იყოს და ვინც დადგეს, მისის სიტყვის მორჩილნი და ხელქვეითნი იყვნენ, მონასტერს ერთგულად მოუდგნენ და მსახურონ, და მისის სიტყვის გამგონე იყვნენ, მონასტერს კარგად და მდაბლად მსახურონ; ვისაც იქ დგომა და მოღვაწება უნდოდეს, მამის მორჩილიობით და ნების მყოფელობით იყოს; რომელიც ან ახლა და ან შეძღვომად ამისა იქმნებოდეს, როგორადაც სხვას მონასტერშია, კელქვეითნი იყვნენ, და რომელმანც იქ მდგომან მონაზონმა ან წირვით, ან სხვის მოღვაწებით რამ იშოონ, უკლებლივ წინამძღვარს მოაბარონ, იმან, როგორათაც მართებულია, მონასტერსაც ისრე მოახმაროს და იქ მდეგსაც. და რომელიც ამ ჩვენს ბძანებასა და განაჩენს გადავიდეს, მონასტერს მართლად არა მსახუროს, ეს ჩვენი განაჩენი მოშალოს,—მონასტრიდამ განდევნოს და შეჩვენებული იყოს შვიდის კრებისაგან და ჩვენგან და ჩვენის კრებისაგან, და თუ იქ დგომა არ უნდოდეს, შენდობით და მონასტრის უზიანოს საქმითა და უკანონო გამოვიდეს, და თუ იქ დგომა ვისმე უნდოდეს, ესევბი ქნას და ამ წესზე დადგეს. მარტსა: იბ, ქ'კა: ტოშ (=1690 წ.) (ბეჭედი): კ'ზი ითანე.

(ხვეულად): ალავერდელი ნიკოლოზ.

(ბეჭედი): მმოსავი ღუთისა ამბა ალავერდელი ნიკოლოზ.

ბოდბელი ევდემოზ. რუსთველი ნიკოლოზ. სამებელი ნიკოლოზ.(?) ნინოწმინდელი არსენ. (სათაურს ბეჭედი): რომელი განკანილ ყოს, კანილი იყვენ ცათა შინა. ნეპითა ღუთისათა ჩვენ მთავარ ეპისკოპოზი ქრისტეფორე ვამტკიცებ. (აშიაზე): ქ მონა ღვთისა ტფილელ, მთავარ ეფისკოპოზი ვამტკიცებ (ხვეულად): ღომენტი.

ამავე საგანს შეეხება ნინოწმინდელის ეფისკოპოზის იოსებ ვაჩნაძეს სიგელი, *) რომელშიაც მოკლედ მოთხრობილია ისტორია ქართველთ გაქრისტიანებისა, გარეჯის უდაბნოს დაარსებისა, გაოხრებისა და განახლებისა. სხვათა შორის იგი ამბობს: „აღეშენნეს მონასტერი ეგე უდაბნოსანი, ვიდრემდის შეიქმნეს ადგილსა მაგას (გარესჯას) მონასტერი ათორმეტნი თვისთვისით წინამძღვრითურთ; და ესენი ყოველნი იყუნეს სამწყსო და მორჩილ ღუთისა მიერ კურთხეულისა მთავარ ეფისკოპოზის ნინოწმინდელისა; და რომელნიც უფლებდეს და განაგებდეს საგარეჯოს წმიდის ნინო მონასტერსა, მათიცა ჯერ არს პყრომა და კურთხევა ამათი“.

შემდეგ განაგრძობს: „ბარბაროსი წყობად ალიჭურნეს საქართველოს ზედა და უწყალოდ აღწყვილნეს ქვეყანა ესე ქრისტიანობისა, აღაოკრნეს და დააქცივნეს ეკლესიანი, და ამასთანა მრავალნი ღუთის მსახურნი კაცინ მოსწყვიტნეს, რომელნიმე ცეცხლითა დაწუნეს, და რომელნიმე წარკუეთითა თავთათა აღასრულნეს, და რომელთამე ქუა დაკრიბეს, და ესე ვითარი უწყალოება მოაწივეს ადგილთა ამათ, და უდაბნონიცა ესე გარესჯისანი მას შინა აოკრდეს და მრავალ ქაშ და მრავალ წელ დაშთა უმკვიდრად კაცთაგან, და არღარავინ იყო ბერთაგანი ადგილსა მაგას წმიდასა ვიდრე ყოფად ჩვენდადმდე, და იყო უმკვიდროდ კაცთაგან ოდეს ვიხილეთ ადგილი ეგე წმინდა და თაყუანის საცემელი და პატიოსანი უპატიო ქმნილი, ვითარცა

*) საექლ. მუზ. 835

მარგალიტი შრავალ სასყიდლისა გარეგანთხეული, ტირილად ვიწყით და ამას ვიტყოდით:

„ნეტარ მის კაცისა, რომელმან ესე მონასტერი, ესრეთ უწყალოდ მოკურებული და უნუგეშო ქმნული, კუალად აღმართოს და აღაშენოსო“.

ამ სიტყვებით მიპართავს იოსებ ვაჩნაძე დოდოს მონასტრის წინამძღვარს მარკოზს, ბერს ზაქარიას და თითოოროვას სხვა ბერებს, ამხნევებს მათ და აქებს, რომ მონასტრის განახლებას შეუდგნენ. ვაჩნაძე იმასაც აღნიშნავს, თუ თვითონაც რით და როგორ შეეწია ამ ბერებს.

ვაჩნაძის სიგელი დაწერილია ქ' ქ 1709. მას-ხელს აწერს თვით იოსებ ვაჩნაძე და აგრეთვე: ამბა ალავერდელი ნიკოლოზ. ბოდბელი ზაქარია. სამებელი ნიკოლოზ. პართენი ხარჭაშნელი. ნეკრესელი ნიკოლოზ. ჭერემელი ნიკოლოზ. დედოფალი ანნა († 1766 წ.), მისი ძე „თამურაზ“ (მამა ერეკლე II-ისა).

და ასე თითქმის მთელის საუკუნის განმავლობაში ვერ მოშენდა გარესჯა და პირვანდელ წესზედ ვერ დადგა. მისი ხილვა ჯერ 1709 წელსაც ტირილსა ჰგერიდა კაცი! მისი საოცარი შენობები დაწვა და გაანადგურა ულმობელმა შაპაბაზმა! მისნი წალკოტნი გაავერანა, მოღვაწე ბერები დასწვა, დახოცა, დაღუპა! პისი უძვირფასესი საწიგნე ცეცხლს მისცა!

საშუალო საუკუნოების მონასტერნი უმეტესად იმითი იყვნენ შესანიშნავნი, რომ ყოველი მათგან იყო მცირე აკადემია. მათში ზოგი თარგმნიდა, ზოგი თარგმანს ეტრატზე სწერდა, ზოგი დასაწყისს მთავრულებს ფერადებით ხატავდა, ზოგი აშჩადებდა ეტრატს: გამოჰქნიდა მას, ხაზავდა, რვეულებად აწყობდა, ზოგი გადაწერილს წიგნად ჰქაზმავდა, ზოგი ყდას უკეთებდა, ზოგი მასწავლებლობდა, გარეშემო სოფლელების ახალგაზდობას ასწავლიდა, სწურთნიდა და სხ. მაგალითად, ასრე იღვწიდა ილარიონ ქართველი მეცხრე საუკუნის დამდეგს. იგი ჯერ 15-ის წლისაც არ იყო, რომ შემოიკრიბა 16 მოწაფე,

მერე გარესჯას რომ მოვიდა, აქაც შეიძინა 11 მოწაფე, იერუ-
სალიმიდამ კახეთს რომ დაბრუნდა, ააშენა ორი მონასტერი,
ერთი სადედო და ერთიც სამამაყაცო, და მათთვის „მოიგნა
წმიდანი წიგნნი და დასხნა მათ შინა“. ყველგან ასრე იქცე-
ოდნენ, მონასტრებს წესსა და კანონთან ერთად წიგნებსაც
აძლევდნენ.

მონასტრების საწიგნე შეიცავდა მრავალგვარს წიგნებს.
ღვთისმეტყველებასთან ერთად მამანი სწავლობდნენ მამათ-
ცხოვრებას, მატიანეს, ბუნების მეტყველებას, ფილოსოფიას,
ქვეყნის მოხაზულობას, ღროს ანგარიშს, გალობას, მეურნეო-
ბას, უხუნო წამლების კეთებას, ხატვას, ხუროთმოძღვრებას,
კერვას და სხვ. და სხვ.

საქართველოს სიბრწყინვალის დროს 60-მდე დიდი ლავ-
რა იყო, ვითარცა ხახული, ოპიზა, ბანა, ტაძრისი, გელათი,
მარტვილი, ჯუმათი, ანჩა, ტბეთი, კუმურდო, საფარა, კაცხი,
გარესჯა, შიომღვიმე, თარგვისი, სამთავისი, ნეკრესი და
მრ. სხვ.

დღეს რაც ეტრატის წიგნი დაგვშთენია, თითქმის ყველა
დაწერილა დასავლეთით საქართველოს მონასტრებში — ოპიზას,
ტბეთს, ხახულს, გელათს, ათონს და სხ. ამერეთს დაწერილთა
რიცხვი ფრიად მცირეა დაჭისიც უახლოეს დროისა. და ამას
თანავე ძნელად თუ ისე ხელოვნურად გადაწერილი, როგორც
იწერებოდა ძველად.

ეს მოვლენა აიხსნება მით, რომ ჯერ იყო — ამერეთისეუ-
ლი წიგნები გადაბუგა ლანგორემურმა (მაგალ., ძვირფასი საწიგ-
ნე ორბელიანთა) და მერე მას მიემეტა მძვინვარება სპარსთა
და ლეკთა, რომელთაც გააოხრეს მთელი კახეთი, მრავალი
ერი გაულიტეს, სხვები ტყვეთ წაასხეს, გადაბუგეს და პიქრვე
დასცეს თითქმის ყველა, აქაური მონასტრები და მათთან ერ-
თად დაიღუპა წიგნებიც. გვიხილავს ჩვენ არა ერთი ხელნაწე-
რი, რომელსაც აშიაზე აწერია: „ისპაანის ტყვეობიდამ გამო-
ვიყიდე მე“ — (პრევი სახელი), ანუ „მე დედოფალმან (სახელი)

წიგნი ესე, შეგონებული აგარიანთაგან, გამოვისყიდე და შევწირე მონასტერს“.

ქართლ-კახეთს გადაწერილები წიგნები, თითო ოროლას გარდა, აღარ არის. მტერმა იგინი გააქრო. დიდ დიდი და ძვირფასად ეტრატზედ დაწერილი წიგნები მცხეთისა, გარესჯისა და სხვ. თითქმის ყველა დასავლეთ საქართველოდგან უმეტესად მესხეთიდან, მატანილია.

ეს გარემოება იმითაც აისნება, რასაკვირველია, რომ ამ-ერეთიდამ მრავალი წიგნი რუსეთშიაც წაიღეს ვახტანგ სჯულ მდებლის თანამხლობელებმა, ეფისკოპოზებმა, არქიმან ურიტებმა და სხ. მოხელეებმა. თვით მეფე არჩილმა, ვახტანგ მე-VI-მ, ბაქარმა, ვახუშტიმ და 1800 წლიდან ქვრივმა დედოფლებმა და მათმა შვილებმა არა ერთი წიგნი გამოაკლეს საქართველოს საზოგადოდ და ამერეთს კერძოდ. საქართველოდან გაუტანელს წიგნებს წნილისა და ხილის გასახვევ პარკებად ხმარობდნ ენ, და ზოგი უაღრესი მნიშვნელობის წიგნი სასწორზედ იწონებოდა გამოუსადევარ ქალალდების გროვასთან ერთად!

სპარსელებისაგან გადაბუგვის შემდეგ გარესჯა სამწუხარო მდგომარეობაში ჩავარდა. სიგელ-გუჯრები და მით მამულებიც დაჰყარება. წიგნები დაელუპა და უწიგნოდ კი აღარ იწირებოდა. საჭირო შეიქნა ალდგენა მონასტრისა ყოვლის მხრივ:

ბერების შეგროვება, მამულების მოპოვება, სახლების აგება, ტაძრების განახლება, სალოცავ წიგნების შეძენა და სხვ. უმთავრეს საზრუნავ საქმედ შეიქმნა.

და აღმოჩნდენ კაცნი, რომელთაც ყველა ამისთვის იზრუნეს, იგულეს და იგულსმოდგინეს. მეფეები სიგელ-გუჯრებს უახლებდნ ენ, ეფისკოპოსი და კათალიკოსი ბერებსა და სამკაულს უგზავნიდნ ენ, დიდებულნი და ვაჭარნი სანთელსა და საკმეველს იკვეთავდნ ენ მისთვის, და მრავილი გაგებული კაცი წიგნებს სწირავდა. ერთი ამ გვარი მიხვედრილი კაცი იყო ზემორე ხესნებული გიორგი აბაშიძე, ის აბაშიძე, რომელმაც გარესჯას შესწირა ბუმბერაზი ხელნაწერი.

ზემორე მოყვანილს ლექსში გიორგი აბაშიძეს მოკლედ გამოუთქამს თვისი ბიოგრაფია და ზავთი.

იგი თავის თავს უწოდს სევრ-შორაპნის პატრონად, ჭალა. ყანის (ჭალა-ტყის კოშკების?) მფლობელად, სიმამრად მეფისა (მიათხოვა ასული თევისი თამარ), გურიელისა და დაღიანისა; ზავთი მქონდაო იმერეთს, გურიას, ოდიშს, აუხაზეთს, მტრი-საგან შემოუვალი მქონდაო მამული, სანაპირო დროშას სახე-ლოვანად ვუძლოდიო, ვცხოვრებდით, ვცხოვრებდიო მდიდრად, მორჭმით და ახლა ამ გულანს ვწირავ გარესჯასო, რადგან „სიმდიდრეში სული ცოდვით შევიმცირეო“ და კაცებს სამარე გავითხარიო.

1695 წელს იმერეთში მოხდა დიდი შეთქმულობა მეფე ალექსანდრეს წინააღმდეგ. ამ შეთქმულობის უპირველესი მო-თავე იყო თვით ალექსანდრეს მეუღლე თამარი, ასული გიორ-გი აბაშიძისა. ალექსანდრე ქრისტიან ტყვეებს ჰყიდდა და ამის-თვის შეიძულა იგი დედოფალმა. გიორგი აბაშიძემა და მისმა მომხრე დიდებულებმა შეიპყრეს მეფე სიანდას, მიიყვანეს მღვი-მეს, მერე სვერს, იქიდან წარმოგზავნეს რუსს და მოაშთო-ბინეს.

ამის შემდეგ იმერეთის საქმეები აიწეწა. ქვრივი დედოფა-ლი შეეხვეწა ქართლის მეფეს გიორგის შემირთეო და იმერეთს გამეფულიო. ამან არ ინება, რადგან იმერეთის ტახტს ჩემულობდა მრსი უფროსი ძმა არჩილ (ცნობილი მეოსანი). მაშინ დედო ფალმა და მისმა მამამ გიორგი აბაშიძე სიძედ მოინდომეს არჩილი. არჩილმა შემოუფალათ, მე კი არა, თუ გინდათ, თამარს შერ-თეთ ჩემი შვილი ალექსანდრე და ამეფეთ იმერეთსაო. აბაშიძე არ დათანხმდა. შეეზრახა ლიპარტიანს (დაღიანს), ორთავემ მონახეს ვინმე გიორგი, მეფეთა მონათესავედ წოდებული და ოდიშს მცხოვრები, და მას შერთეს თამარი და იმერეთს გა-მეფეს.

ეს გიორგი მეფე (გოჩია) იყო კაცი უმსგავსი, შეუგვანი, უზნეო, ხეიბარი. გიორგი აბაშიძე უმეტესად გაძლიერდა. იგი აწ თავობდა იმერთა ზედა და მასვე მორჩილობდნენ დაღიანი,

გურიელი და წარჩინებულნი. გარნა თამარმა მალე შეიძულა თვისი უშვერი ქმარი და ინება მისი განტევება. არჩილ მეფე ამ უამს დვალეთს იყო. აბაშიძემ ისევ მას მიჰმართა. არჩილმა შემოუთვალა: თამარს ვერ ვიქორწინებო და არც მინდა იმერეთს მეფობაო: უპირულნი ხართო, პირმტკიცეობა არა გაქვთო. მთელს ოქვენს ქვეყანაში გავრცელებულია გარყვნილება, ფიცის დარღვევა, ტყვის-ყიდვა, ხდომა, მკრეხელობა, უკეთურება და მანდ მეფობა არ მიძღავსო.

მიუხედავად ამისა მაინც არჩილი მოვიდა იმერეთს და იმეფა აქ ექვსი თვე. მის შემდეგ გამეფდა სვიმონ გიორგის ძე. ამ სეიმონს შეუჩნდა იგივე გიორგი აბაშიძე და შერთო მას თვისი ასული ანიკა, რომელიც წაართვა მისს მეუღლეს ნასყიდა იაშვილს. თვით აბაშიძე გიორგიმაც განუტევა თვისი ცოლი და შეირთო ქვრივი პაპუნა ერისთავისა, ასული ბეჭან ლორთქ-ფანიძისა და დედა რაჭის ერისთავის შოშიტასი. ამ მოყერობამ უფრო გაამხნევა გ. აბაშიძე და მას ხელი შეუწყო მისმა ასულმა, ქვრივმა დელოფალმა თამარ, რომელსაც მფლობელობა დისა და სიძის სვიმონ მეფისა არ ეპიტნავებოდა. სვიმონმა, ნახა რა თავი თვისი განსაკულელში, ქართლს ივლტო. იმერე გამგეობა დარჩა გ. აბაშიძეს, რომელმაც კათალიკოზად დანიშნა თვისი მომხრე გრიგოლი, ძე ბეჭან ლორთქიფანიძისა.

ამის შემდე ლიპარტიან დადიანს გადაეკიდნენ ლეჩხუმელნი. აბაშიძემ შემუსრა მათი ძალა და დაუმორჩილა იგინი ლიპარტიანს, რომელსაც შერთო თვისი ასული თამარ, ნადეღოფლარი იმერეთს; წინანდელი ცოლი კი, დედა შვიდის მოწიფული შერლისა, განატევებინა.

განდგნენ რაჭველნი. აბაშიძემ იგინიც დაამარცხა და დაბრუნდა ძლევა მოსილი. სწორეთ იმ დროს მამია გურიელმა მიიწვია გადაყენებული მეფე სვიმონ, განატევებინა მას აბაშიძის ასული ანიკა, თვისი ქალი ცოლად შეერთო და იმერეთის მეფედ გამოაცხადა. გარნა აბაშიძემ და ლიპარტიანმა შე-

ირიგეს მამია, სეიმონი მოჰკლეს და გურიელი გამეფეს (1701წ.).

გურიელი მამია მარტო სახელით იწოდებოდა მეფედ, გარნა ყოველივე სახელმწიფო საქმეების გამგეობა ებარა იმავ აბაშიძესა და მისს ასულს თამარს. ამიტომ მამია მეფობიდან იმავე წელიწადს გადადგა და იმერეთის მთავრად შეიქმნა გიორგი აბაშიძე.

აბაშიძემ იმთავრა ხუთს წელიწადს და ამ დროის განმავლობაში მან დაამშვიდა იმერეთი ხდომა-ოხრებისაგან, პარვაკრეხისაგან, და ტყვის ყიდვისაგან. ქართლის გამგე ვახტანგმა ითხოვა მისგან მისი ძე ლევანი ქმრად თავისის ასულისა და მფლობელად ქართლის „სააბაშიოსი“. გარნა გ. აბაშიძე არ ენდო და არ მოსცა. მაშინ ვახტანგმა თვისი ასული ანუკა მიათხოვა გიორგი აბაშიძის ძმისწულს ვახუშტს (1712წ.).

თამარი, ოდიშ-იმერეთის დედოფალი რომ გარდაიცვალა, მაშინ დაღიანს აუჯანყდნენ მისნი ძენი, წინანდელის ცოლისა-გან ნაშობნი. აბაშიძესაც ვახუდგნენ ძმისწულნი. მალე ფრიად გაძლიერდა მამია გურიელი და დაიპყრა იმერეთი. აბაშიძე გიორგი გორს მივიდა ვახტანგ მეფესთან. გურიელმა ვანუტევა გ. აბაშიძის ასული ელენე და შეირთო თამარი, ერისთავის და, რომელიც ვაეყარა თვისს კანონიერს მეუღლეს პაპუნა ჩხეიძეს.

აბაშიძემ კიდევ ბევრი იმხნევა, მაგრამ ვერას ვახდა. იგი გარდაიცვალა ტფილისს 1722 წ. ოქტომბერს*). გვამი მისი წარგზავნეს კაცხს და იქ დაფლეს.

განსვენებულს გ. ე. წერეთელს კაცხს უნახავს ძველი გულანი**), რომელსაც აწერია:

ლმერთო აცხონე აბაშიძე გიორგი და მეუღლე მისი ლორთქიფანიძის ქალი გულქან.

*) იხ. მის შესახებ „ქართლის ცხოვრება“, გვ. 215—230.

**) იხ. არქეოლ. მუზეუმის კვირის კონკრეტულ უძრავში, გვ. 10—11.

ეს გულქან არის რაჭის ერისთავის შოშიტას დედა, ასული ბერები ლორთქიფანიძისა. ვიდრე ამ გულქანს შეირთავდა გიორგი აბაშიძე, იგი კიდევ ორჯელ იყო შეულლებული, თუმცალა წინად ცოლოსნობას სულ არ აპირებდა, ბერად იყო შემდგარი მალაქიას სახელწოდებით.

იმავე კაცხის გულანს კიდევ სხვა წარწერა აქვს, რომელიც შინაარსით იგივეა, რაც ზევით ამოვწერეთ „ბუმბერაზ ხელნაწერიდან“. სისრულისათვის აღძრულ კითხვისა, აქვე მოგვყავს ის წარწერაც (იქვე, გვ. 11).

მე ესე წიგნი შევამტე გიორგი მალაქიამა, უფლის-წულ ციხისთავმან და გვარად აბაშიძემა, სევრ შორაპნისა პატრონმა, მემკვიდრემ ჭალა-ტყისამა, და დროშა, ნალარის, ნაპირის მქონემა მდიდარიანმა; ამ უამათ მეფე მემოყვრა, ქალი მივეცი თამარი, მას გავატანე მრავალი უცხო მურასა ქმარი; იმერეთს, ოზიშს, აფხაზეთს ვიყავ მთავარი. ვაი, რა ცუდათ ვისაჯე, კაცხს გავითხარე სამარი.

ამ გულქანისაგან აბაშიძეს მიეცა ვაჟი, ლევანი. კაცხის ბარძიმის წარწერა გვეუბნება (იქვე, გვ. 7):

ქ. მოიხსენე, ღმერთო, ორთავე ცხოვრებასა ლორთქიფანიძის ასული გულქან, განაძლიერე ძე მისი აბაშიძე ლევან. ვინც ეს ამ მაცხოვერის და ჩვენს სასაფლაოს გამოაყაროს, ჩვენის ცოდვის პასუხის გამცემი იყოს ლმრთის წინაშე. ამინ.

იერუსალიმის მონილვის დროს პროფეს. ალ. ან. ცაგარელს მამათმთავრის აბრაამის ტაძრის კედელზე, გარედან, წაუკითხავს შემდეგი წარწერა ასომთავრულით *).

ქ. ეს აბრაამის მონასტერი განვახლე აბაშიძე გიორგი იმერელმა ჩემის თეთრით ქორონიკონსა ჩდ (1700 წ.).

*) Памятники груз. старины, გვ. 250,

ცაგარლის ნათქვამს ამოწმებს მთავარ ეფისკოპოსი ტიმოთე თავის „მიმოხილვაში“. მოპყავს-რა მოკლე-მოკლე აღწერა ქართველთ მონასტრებისა წმიდა ქვეყანაში, იგი ამბობს:**)

წმიდისა იბრაამ მამა მთავრისა მონასტერი, სადა ისაკ შესწირა, ის დარღვეული აღუშენებია აბაშიძეს გიორგის ლეონიძესა. გარდასულნი წელნი არიან 57.

რაღაც ტიმოთე ქართლს დაბრუნდა 1757 წელს, ამიტომ $1757-57=1700$ წ., რომელიც უდრის ზემორე ხსნენებულს აბრაამის ტაძრის წარწერის ქორონიკონს.

ამ გვარად, რაც „ქართლის ცხოვრობაში“ სწერია გიორგი აბაშიძის შესახებ, იგი ყოველივე მტკიცდება თვით მისს გულანებისავე წარწერებით. მაშასადამე ამ მხრივ ჩვენი“ ბუმბერაზი ხელნაწერი“ ისტორიული წყაროს მნიშვნელობასაც არ არ არის მოკლებული. გარნა მისი მნიშვნელობა ამით არ თავდება.

თუ რა არის ეს „ბუმბერაზი წიგნი“, სჩანს მისს შინაარსიდამ. ეს წიგნი კი არა, მთელი მცირე „ბიბლიოტეკა“. იგი შეიცავს შემდეგს წერილებსა ანუ წიგნებს:

1. ლოცვანი შუალამისანი (გვ. 5)
2. ლოცვა დღით-დღე სათქმელი ღუთის მშობლისა მიმართ (16).
3. გალობად ლაშას თევისად (25).
4. ლოცვა ბასილი კესარიელისა (29).
5. უამნი (30).
6. კუთრთხევად ტრაპეზისად (83).
7. ლოცვად პავლე პერგისა მონასტრისა მონაზონისა (103).
8. დავითი და გალობანი მოსესი, ანასი და სხ. (123).
9. საბაძს ლავრის განწესებულება (155).

**) „მიმოხილვა“, გვ. 157.

10. მოთხრობად შემოკლებული საეკლესიო განწესებულება იერუსალიმის მონასტერთა (162).
 11. სვინაქსარი საწელიწდო (171).
 12. განგებად წმ. ლილთა მარხვანად (237).
 13. ძლის პირნი (279).
 14. აამბიკონი ღვთის მშობლისანი (331).
 15. დარდებელნი ალდგომისანი (387)
 16. იგივე (415)
 17. საწელიწდო ცხრილი ქორონიკონისა (543)
 18. განგება წყლის კურთხევათა ყოველთა თვეთა და დღესასწაულთა (555)
 19. სვინაქსარი გალობანი (561)
- გვ. 601, აშიაზე ტექსტის ხელით: აშა კარ შიგან ხუთი სტრიქონი იოსებ კარგარეთელმა დასწერა. ცოდვანი მისნი შეუნდონეს ღმერთმან.
- გვ. 653, აშიაზე: აქა დავით მღდელმონაზონი ნემსაძე მიკანანახებდა. ცოდვანი მისნი შეუნდონეს ღნ.
- გვ. 726: ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი აბრამ, და ვინცა შენდობად ბრძანოთ, თქუენცა შევიდნეს ღნ. შეწევნითა ღუთისაითა რაცა დედასა ეწერა, მგონია, არა დამიკლია რა, და ავად წერისათვის ნუ დამწყევლით, ოკუალნო ჩემნო!
- გვ. 885, აშიაზე სხვა ხელით: ქ. მე აბაშიძემ გიორგიმ გავგზავნე იმერეთით გულანი ესე დავით გარეჯას შესაწირავად, სულისა ჩემისა ცოდვათა შესანდობელად, ამ დღეს (10 ნოემბერს). თვესა დეკენბერსა: ვ, ქორონიკონსა: ტფგ (=1705). დაიდვეს სულისა ჩემისა სახსენებელი იქაურთ მამებმა ყველიერის შაბათი და სულისა წმიდის შაბათი საწირავად, მოსახსენებელში შთაწერა და დიდმარხევის შაბათების თითოს მღდელთმთავრის სრულად წირვა ჩემის ცოდვილის

სულისათვის. ვინც მოშალოს, ჩემის ცოდვის პასუნის გამცემი იყოს მეორედ მოსლვასა.

გვ. 1501 (სეინაქსრის ბოლოს): ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი მთავარეფისკოპოზი ზაქარია.

20. იწყებიან წმიდანი მარხვანი მეზვერისა და ფარისევლისა (1501).

გვ. 1504, აშიაზე: ქ. დავიდევით ამ წმიდის დავით გარეჯელის მამებმა ამ გულანის შემომწირველის იმერელის დიდისა სახელოვანის იმერეთის მეფის, დადიანის და გურიელის, სამისავე სიმამრის და ერთეულამდ სამი საბატონოს თავის და დედოფლების მამის დიდის აბაშიძის სულის საკსენებელი (ჩამოთვლილია, რა და რა დღეს და როგორ უნდა მოიხსენიონ). მე ცოდვილს მამა ონოფრეს (მაჭუტაძეს) და მთავარეფისკოპოზის მომიხსენება, ჩემნო შემდგომნო მამანო, ამ განწესებას ნურავინ მოშლით, რათა არავის დაგესაჯნენ ცოდვანი ჩვენნი და შემომწირველისა ამის პატიოსნისა და ყოვლად ქებულისა წიგნისანი, ქორონიკონსა ტუგ (=1705).

გვ. 1610, აშიაზე: აქამდი მოვაწიე მე ფრიად ცოდვილმა აბრაჟმ. შენდობასა ბრძანებდით ნაშრომისა ამისათვის, გვედრებით.

გვ. 1611, აშიაზე: აქათგან ვიწყე წერად შარხვანისა მე ფრიად ცოდვილმან მღდელმან საბა, და შენდობასა პყოფლით ღუთისათვის, გვედრები.

გვ. 1658, ტექსტშივე ასომთავრულით: ნაშრომი გენათელის ზაქარიასი. (ცოდვანი მისნი შეუნდნეს ღმერთმან. ასეთივე წარწერაა „ბაიას (ბზის) კურთხევის „ბოლოს (გვ. 1674).

გვ. 1689, აშიაზე ტექსტის ხელით: აქა მელანი წამიკდა და კალამი, მისთვის კელი ავი მოვიდა და არცა კელი გაეწყო. ღუთის მადლისა ფრიად ცოდვილს საბას ნუ სწყევთ, გვედრებით.

- გვ. 1707, აშიაზე: ამ წიგნის დელასა ქალალდი წაკრული ჰქონდა და ამას მეტად ვერ მიგამოწმე. თუ რა მეტი იყოს, ნუ მწყევთ, გევედრებით!
- გვ. 1715, აშიაზე: ღმერთო, შეიწყალე ფ'დ ცოდვილი მღლელი საბაძ ამინ.
21. დიდსა შაბათსა მწუხრი. დასდებელნი აღდგომისანი (1717).
- გვ. 1732: ოკუალნო ჩემნო, ეს ერთი ფურცელი ხაზში გამრუდებია და კარგად ვერ დაიწერა და ნუ ვინ მწყევთ.
- გვ. 1766. და 1746, ტექსტის ხელით: ღმერთო, შეიწყალე ამ ზატიკის მწერალი იესე ბალდიაშვილი. ამინ
22. გალობანი ღმის თევისანი (1812).
- გვ. 1845. ოკუალნო ჩემნო, მუკლთ დრეკის საკითხავი აქ უნდოდა და ვერ დავწერე; რვა ფურცელი გარდამოაქციე და იქ ჰპოო, ამ რვეულის ბოლოს.
23. საკითხავები:
- ა. სეკდ. ც-ს: სიტყვად შობისათვის ღვთის მშობლისა, ანდრია კრიტელის თქმული (გვ. 1865)
 - ბ. სეკდ. იდ: ამაღლება ჯვრისა, მისივე (1868).
 - გ. სეკდ. კვ: მოსახსენებელი იოანე ღვთისმეტყველისა (1871).
 - დ. ოკდ. კვ: წამება ღმიტრისი (1877) ამ წერილის ბოლოს: ღმერთო და წმ. ღმიტრი, კეთილად დაიცევ არსავე ცხოვრებასა შინა გენათელ მთავარებ. ზაქარია. ამინ.
 - ე. სასწაულთათვის მთავარ ანგელოზთა და ანგელოზთა გერმანოზ კოსტანტინეპოლელისა (1882) არშიაზე ჰეატრია მიქელ მთავარ ანგელოზი.
 - ვ. სეკდ. კვ: ზაქარიას დაღუმება და ელისაბედის მიღვომა, იოანე ოქროპირისა (1891).
 - ზ. ნოემბ. კა: ტაძრად მიყვანება ღვთის მშობლისა (1893).
 - ც. მუცლად დება მარიამისა, ეპიფანე კვიპრელისა (1900).

თ. დეკემ. კე: შობა ქრისტესი. ბასილი კესარია — კაბადუკიელისა (1904).

ი. იანვ. ე: ცხოვრება ბასილისა, ამფილოქესი (1909).

ი. ა. იანვ. ვ: ნათლისღება ქრისტესი.

ი. ბ. თებ. ბ: მიგებება ოკულისა ამფილოქესი (1924).

ი. გ. აგავი მეზეერისა და ფარისეველისა, იოანე ოქროპირისა (1228).

ი. დ. უძღების შვილისათვის, მისივე (1930).

ი. ე. მეორედ მოსვლისათვის, მისივე (1935).

ბოლოს: ღმერთო და წმ. ხახულისა ღუთის მშობელო, აცხოვნე თამაზი მგალობელი. ამინ.

ი. ს. თებ. იხ: წამება თეოდორესი (1939).

ი. ს. თხრობაჲ სასწაულისათვის, რომელი იქმნა სოფიო წმიდას სოფიისაგან და უფლის ხატისა (1942).

ი. ს. ჯვართ ამაღლებისათვის, ანდრია იერუსალიმელისა (1946).

ი. თ. ხარებისათვის ი. ოქროპირისა (2953).

ქ. ლაზარეს აღდგინებისათვის, იმავე ანდრიასი (1955).

ქ. ა. სიტყვაჲ ბზობისათვის, ი. ოქრო. (1964).

ქ. ბ. ღიღი ხუთშაბათისათვის, მისივე (1967).

ქ. გ. ქრისტეს ჯვარცმისათვის, გიორგი ნიკომიდიელისა (1972).

ქ. დ. ქრისტეს დაფლვისათვის, ეპიფ. კვიპრელისა და იქვე იამბიკოები, ი. ოქროპირისა (1980),

ქ. ე. აპრ. კვა: წამება გიორგი მთავარ მოწამისა (1987).

ქ. ვ. სიტყვა ამაღლებასათვის (1994).

ქ. ზ. სულის წმიდის მოსვლისათვის, გრ. ღეთის მეტყ. (1997).

ქ. თ. შობა იოანე ნათლის-მცემლისა (2002),

ქ. თ. შესხმა პეტრე-პავლესი, იოანე ოქროპირისა. (206).

ბოლოს: ღმერთო, შეიტყალე ფრიად ცოდვილი ლაზარე. ამინ.

ლ. აგვ. ვ: ფერისცეალებისათვის, ეფრემ ასურისა (2010).

ლპ. აგვ. იქ: მიძინებისათვის, იოანე მონაზონისა (2019).

ლბ. აგვ. კთ: იოანე წინამორბედის თავის მოკვეთა (2016).

გვ. 2023: წყალობითა და შეწევნითა ღუთისათა მე ცოდვილმან და უღირსმან მონამან ღუთისამან გეენათელ მღდელთ მთავარ ებისკოპოსმან ქვარანმან პატრონმან ზაქარია კელვყავთ წმიდისა ამის ყოვლითურთ და უნაკლულოსა წმიდისა და სულთა განმანათლებელისა გულანისა აღწერად, რათამცა ესრედ სრული და უკლები არავის კელ ეყო და არცა ვის აღწერა, და ჩვენ სალიდებლად ღუთისად და შესანდობლად ცოდვათა ჩვენთათვს ვიწყეთ წერად ამისსა: ქ'ნსა ტმა (=1653) და სრულ იქმნა წელიწადსა ურსა, ქ'ნსა: ტმგ, ინდიქტიონსა და მოქცევასა მეფობისა ბატონისა ალექსანდრესა: იც და დედოფლისა, კახთა მეფისა ასულისა, ბატონისა ნესტან დარეჯანისსაც ამა წიგნიშიღა თავის პარაკლიტონი მისის სრულ შესაველრებელითა, გუნდნი ანგელოზიანითა, დიდის შეგვიწყალენითა, ათერთმეტით სასარებათ გამოავლინეთ, თთუტნი სრული წლის ოხითა იბაკოხთა, სვინაქსრითა, დღესასწალულის საცისკრო სახარებითა და სახარებაც სამოციქულოთა, მარხენი სტოდიელ საწინასწარმეტყლოთა და სახარებაც სამოციქულოთა, ზატიკნი სრული მათ დღეთაიანით, მუკლთ დრეკის ლოცვაც, დღდ დღეს საკითხავი, ძეგლის წერა, ქორონიკონი და ერის განტევებაც. აწე ვინც მიემთხვივნეთ და იქმარებდეო, ჩემ ცოდვილისათვის შენდობასა ბრძანებდით.

24. ერის განტევებაც დღესასწაულთა დიდებულთა (2024).

25. ძეგლის წერა სარწმუნოებისათვის, რომელი აღწერეს კონსტანტინეპოლს შეკრებილ მამათა (2029).

გვ. 2033. სხვა ხელით: ღმერთო, აცხოვნე ცოდვილნი და ულირსი მღდელობის მგალობელი და მღივან-მწიგნობარი ანა მღდელი თეოდოსი ჭიჭინაძე. ამინ და კირიელებისონ.

იქვე ახატია კაცი ხლმით და დედოფლალი(!).

26. კურთხევანი (2034).

გვ. 2093, აშიაზე, მხედრულად: ღმერთო, სწავლა კეთილად მოეც მონასა შენსა მერისელსა. ამინ. ამინ.

27. ძეგლის წერა ხატთ თაყვანის ცემისათვის (2244).

28. ლოცვა კვიპრიანესი (2267).

29. ებისტოლე ავგაროზისა უფლისალში (2263).

30. ლოცვა იოანე ოქროპირისა (2273).

31. ლოცვა გრიგოლისა და სხვათა (2274).

32. ლოცვანი (2301).

33. შესხმა ლვთის, მშობლისა, თქმული პატრონის ქაი-ხოსროსი *). (2303).

34. ზანდუკი (2312).

გვ. 2314: შენდობას ითხოვენ: ანადამის მეულლე ზაბია, მზე-ქალა, მერის, იშხნელის მიტროპოლიტი გერმანოს, ნაზიკ, გიორგი.

35. მოთხრობად შჯულთა ულთოთა თათრისათა, გამოკრებული სიტყვისგებად ქრისტიანეთა მიერ, თქმული ბატონისშვილის ბაგრატისა (2315—2322).

წიგნის მესამე გვერდზედაც კიდევ არის სხვა წარწერა, დაწერილი მამის ონთორე მაჭუტაძის მიერ და აგრეთვე მთავარეფისკოპოზის ევლემოსისა, მღვდელ-მოძღვართა, მღდელთა, მთავარდიაკონთა, მწირთა ბანაკისა და კერძო დიაკონთა ხორისი, და მთელი ეს დასი კვლავ პირობას უჟებს „ყოვლად

*). ეს შესხმა უკვე დავბეჭდეთ „უკვდავთა ღაღადებანში“.

ღიდებულს, ზეშთა აღმატებულს, სახელოვანს, ღვთის მოყვა-
რეობით განშვენებულს, წარჩინებულთა და ღიდებულთა ნა-
ყოფთა მიერ აღმოცენებულს“ აბაშიძე გორგის, რომ მისთვის
გარეჯის უდაბნო ილოცავს ღაუკლებლად და უკუნითი უკუ-
ნისამდე. ესეც დაიწერა ქ'ნა 1705.

ზემორეხსენებული ზაქარია ქვარიანი გენათელ მთავარ-
ებისკოპოზი კიდევ შეწყალებას ითხოვს მრავალჯერ (იხ. გვ.
387, 414, 464, 491).

გვ. 493, აშიაზე ასომთავრ.: ღმერთო, სოფრონის წარუმართვე
სიწმიდით მისი მთავრობა.

პარაკლიტონის აღმწერი ბალდიაშვილი ითხოვს შეწყალე-
ბას გვ. 537 და 542.

გვ. 542: ღუთისგულისათვის ჩემის უცბად ჩხრეკისათვის ნუ
მწყევთ, გევედრები; კულავ არ ღამეწერა ეს კმა სა-
ხარება. არამედ ლოცვა ყავთ ჩემ ცოდვილის ბალ-
დიაშვილის იესესთვინ, და ვინცა ბრძანოთ, თქუნცა
დაგლოცოს ქრისტემან მეუფემან ამინ. კერძო დია-
კონი იესე.

ხელნაწერში აღნიშნულია შემდეგი ქორონიკონები:

(გვ. 548): ქ'ნს სშ (=1592) ამა ქორონიკონსა თფიშკედს
ომი ყოფილა.

შენიშვნა. ამ ომს ვახუშტი დასდებს 1590 წელს (ქართლ.
ცხ., გვ. 246).

(იქვე) ქორონიკონს სუდ (=1606). ამა ქორონიკონამდის,
გელათი რომ დაწყებულა, ფ წელიწადი გარდასრულა (1606—
500=1106 წ. დაწყებულა გელათის ღვთიშობლის ტაძრის
შენება დავით აღმაშენებლისაგან).

(გვ. 549): ქ'ნსა ცა (=1622). ამა ქ'ნსა დეკემბერსა თ
გოჭოურის ომი იქმნა.

ქნსა ტმა (=1653) გარდაიცვალა ბატონიშვილი მაშუკა თუესა დეკემბერსა.

ქნსა ტმდ (=1656) მიტროპოლიტად აკურთხა გაენა-თელი ზაქარია ქვარიანი ლირსმან და ლვის მოყვარემან აფხა-ზეთისა კათალიკოზმან მაქსიმე მაჭუტაძემან თუესა ივლისსა.

ქნსა ტმდ (=1660) მარტისა და გარდაიცვალა მეფე ალე-ქსანდრე. გამეფედა ძე მისი ბაგრატი, რომელსაც იმავე წელი-წადს ივლისში უღალატა დედინაცვალმა ნესტან-დარეჯან და მისმა ორგულ ყმებმა, დაიჭირეს და თვალები დასწვეს. სამს წელიწადს იმერეთი ახერ და უმკვიდრო იქმნა. მერე კათალი-კოზმა სვიმონ ჩხეიძემ, მისმა ძმამ სეხნიამ და გენათელმა გე-დეონ ლორთქიფანიძემ დიდის ცდითა მოიყვანეს და გააბატონეს.

ქნსა ტმზ (=1658). მეფეს ალექსანდრეს გურიელი ქაი-ხოსრო და დადიანი ლიპარი შემოებენ ბანძას, ქართველთ ლაშ-კარი და ურუმთ გვერც ახლდათ, ოდიშარი და გურიელნი უნაკლულოდ გვერც იახლა, მიეიდა მეფე ბანძას, ეწყო ბრძო-ლად, დადიანი ლიპარი მოკლეს და გურიელი ქაიხოსრო ლტო-ლვილი სტამბოლს შეიქცა და საქართველო მეფეს დარჩა.

ქნსა ტნა (=1663) ამა ქნსა ვინც იმერელი კაცი მის ლალატშიდ არ ერია, მოიყვანეს შეფე ბაგრატ და გააბატონეს თვესა გიორგობისასა.

ქნსა ტნმ (=1664) ამა ქნსა მეფე ბაგრატ დადიან ლე-ვან შეიბნენ ბანძასა და მეფეს გაემარჯვა, დადიან კელთ დარჩა, ცოლი წაართო, მან შეირთო და თავისი და თინათი დადიანს შერთო.

ქნსა ტნბ (=1668) ქ. ქნსა ამას დედოფალმან ნესტან-დარეჯან ჩამოიყვანა ურუმისა (ლსმალთ) ლაშქარი და მრავა-ლი ავი ქნა და მრავალი სოფელი წახდა და კიდეცა შიმში-ლობა იქმნა იმ წელს; მე გენათელმან გედეონ ხილი ავაშენე ჭიშურაზე და სულის ჩემის საოხად და ვინც შენდობა ბრძა-ნოთ, ღრ თქუენცა შეგინდნეს. ამინ.

ქ. მეორესა წელსა წყალწითელაზედ ვაშენებდი ხიდსა და არა დამაცალეს რაჭველებმან, თვარა გათავებას უპირობდი. იმ წელსა აღდგომა აპრილსა თერთმეტსა იყო.

ქნსა უკდ (=1736 წ). ამ ქნსა წინამძღვრად დაუჯედ მე ცოდვილი აოანე, ძე ენისელთ მოურაეისა გივისა.

ქნსა ულ (=1742). გარდაიცვალა ნინო წმინდელი ვაჩნაძე იოსებ, თვესა თებერვალსა ია, ლამესა ორ ეამსი.

(გვ. 553): აქ ასოებით ვამოყვანილია ასოებივე ამ შინაარსით: ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი დიმიტრი, ამინ.

ღმერთო შეიწყალე იესე ბალდიაშვილი და მისთა მშობელთა შეუნდნეს ღმერთმან, და ღმერთო შეიწყალე გოგია უსინათლო ბრუტიანი ამინ.

ღმერთო, შეიწყალე სულია კოპეტვაძე კერძო დიაკონი, რომლისა კელითა ილესებოდა ქალალი ესე.

ხელონაწერის ჩამოთვლილს წერილთაგან უმეტესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის უკანასკნელს, „მოთხრობას სჯულთა ისმაირელთა“-ს. ეს წერილი შეუდგენია ბატონიშვილს ბაგრატის, რომელიც, როგორც ჰუიქრობენ, უნდა იყოს მუხრან ბატონთა შტოის ბაგრატი, გამონოზნებული 1539 წელს. ბაგრატის თვისი ცნობები გამოუკრებია ძველი წიგნებიდამ, რომელთაგან ერთი უნდა იყოს 1042 წელს გადაწერილი ტყავზედ ნაწერი წიგნი (საეკლ. მუხ. 471). აქაც და ბაგრატის ნაწერშიაც ცნობები მაჰმადის გაწინასწარმეტყველების შესახებ ერთი და იგივეა, სიტყვა სიტყვით გამეორებული. იმის შესახებ ცნობები ჩვენ უკვე დავტეს დავტე ჩვენს წერილში >Օсадა კონსანტინოპოლი სკივამი>. ბაგრატის ნაწერს ცალკე წერილი მიუძღვნა ნ. მარმა. *).

ჩვენ მოვრჩით სათქმელს. მკითხველს გავაცანით, თუმცა არა ვრცლად, დიდი საუნჯე ქართველთა მამების ნამუშაკევისა. უკვე დავინახეთ, რომ ეს ვეებერთელა კრებული ხუთ ექვს კაცს უწერია, რომ მისი გადაწერა დაუწყიათ 1653 წელს და დაუსრუ-

*) იხ. მისი „Изъ книги царевича Баграты“.

97.922 (993)

60

5202

მთამბე

ლებიათ 1655 წელს გენათელის ზაქარია ქვარიანის ზედამხედ-
დველობით, რომ ქაღალდიც თვითონ ულესიათ, მელანიც
თვითონ უკეთებიათ და სხვ. და სხვ. იშრომეს მათ და თვისი
ნაშრომით საკუთარი თავიც დაიშვენეს და ქვეყანასაც
განძი შესძინეს. ვიღრემდე ეს ხელნაწერი არსებობს, მათი სა-
ხელი არგავჭრება. საქმისთვის თავდადებაც სწორედ მათ სცოდ-
ნიათ.

პ. ჯანაშვილი